საქართველოს სასამართლო სისტემა 2023

ანგარიში მომზადებულია:
საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის (GDI), კანონის უზენაესობის პროგრამის მიერ

2023წ.

სარჩევი

შესავალი 3

ძირითადი მიგნებები 4

სასამართლო რეფორმა 6

გავლენები მართლმსაჯულების სისტემაზე 12

- სანქცირებული მოსამართლეები 12
- საკადრო ცვლილებები 14
  - იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭო 14
  - დამოუკიდებელი ინსპექტორი 15
  - საპროკურორო საბჭო 16
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომათა მიმდინარეობა 18
  - სხდომის დღის წესრიგი 19
- მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები 21
  - მოსამართლეთა დანიშვნა 21
  - მოსამართლეთა გათავისუფლება 22
  - მოსამართლეთა გადაადგილება 25
  - დამატებითი აქტივობები 28

შესავალი

წარმოდგენილ ანგარიშში თემატურადაა განხილული 2023 წლის განმავლობაში ქართული მართლმსაჯულების სისტემაში განვითარებული მოვლენები, როგორც სასამართლო რეფორმის, ასევე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ფარგლებში.

ანგარიშში შესაბამისი თავები ეთმობა ვენეციის კომისიისა და ევროპული კომისიის დასკვნებს სასამართლო რეფორმის შესახებ, ასევე მოსამართლეთა სანქცირებას, მართლმსაჯულების სისტემაში საკვანძო პოზიციებზე საზოგადოებისთვის ნაცნობი სახეების დაბრუნებას, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობასა და მის მიერ მიღებულ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს.

საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს ეფექტური მართლმსაჯულების რეფორმის ჩატარება, რაც ევრო კომისიის ერთ-ერთი მთავარი დათქმაა. შესაბამისად, 2023 წელი გამორჩეული იყო სასამართლო სისტემაში საკანონმდებლო ცვლილებების კუთხით. სამწუხაროდ, საკანონმდებლო პროცესი არ იყო ინკლუზიური. ცვლილებათა ძირითადი ნაწილი არ პასუხობდა მართლმსაჯულების მთავარ გამოწვევებს. ევროპული კომისიის დასკვნის თანახმად საერთო ჯამში საქართველოს ამ მიმართულებით შეზღუდული პროგრესი აქვს. სტრატეგია და სამოქმედო გეგმა არ ითვალისწინებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოვლისმომცველ რეფორმას.

მართლმსაჯულების სისტემაში არსებულ პრობლემებზე მიუთითებს ასევე აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სამი მოქმედი და ერთი ყოფილი მოსამართლის სანქცირების შესახებ. თითოეული მათგანი მნიშვნელოვანი გავლენით სარგებლობს მართლმსაჯულების სისტემაში და წარმოადგენს მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის ბირთვს. მმართველმა პოლოტიკურმა ძალამ სანქციების დადების შემდგომაც განაგრძო აღნიშნულ პირების მხარდაჭერა და საგამოძიებო კომისიის შექმნის პროცედურა სამჯერ ჩააგდო.

“კლანის” გავლენებზე მიუთითებს დამოუკიდებელი ინსპექტორის, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოსა და საპროკურორო საბჭოს წევრთა დანიშვნა. ასევე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 5 ახალი არამოსამართლე წევრის დანიშვნა, რომელიც მნიშნელოვანი პოლიტიკური დაძაბულობის ფონზე ჩატარდა და კრიტიკის საგანი გახდა როგორც ოპოზიციური პარტიების, ასევე სამოქალაქო სექტორის მხრიდან.

2023 წელს სასამართლო სისტემას შეემატა 1 ახალი მოსამართლე, ხოლო 33 უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე გადაინიშნა.

უპრეცედენტო შემთხვევა დაფიქსირდა მოსამართლე ნინო გიორგაძის შემთხვევაში. იგი ერთადერთი მოსამართლეა რომელსაც გამოსაცდელი ვადის ამოწურვის შემდგომ უვადოდ განწესებაზე უარი ეთქვა. მართლმსაჯულების სისტემაში არსებული პრობლემები აჩენს

დასაბუთებულ ეჭვს იმის თაობაზე, რომ გადაწყვეტილების მიღება არ მომხდარა კანონის საფუძველზე.

2022 წლის მსგავსად 2023 წელსაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომები მიმდინარეობდა ქაოტურად. საერთო ჯამში წლის განმავლობაში საბჭოს სხდომა 71-ჯერ გამოცხადდა (70 შემთხვევაში საბჭომ დაარღვია სხდომის ჩატარების შესახებ ინფორმაციის დროულად გამოქვეყნების ვალდებულება), აქედან მხოლოდ 33 სხდომა ჩატარდა. თითქმის ყველა სხდომა ჩატარდა მნიშვნელოვანი დაგვიანებით. უკანასკნელ თვეებში ასევე გახშირდა სხდომათა არასამუშაო საათებში ჩატარების პრაქტიკა.

ძირითადი მიგნებები

- მიუხედავად ვენეციის კომისიის არაერთი რეკომენდაციისა საქართველომ 2023 წელს ვერ განახორციელა მართლმსაჯულების სისტემის სრულფასოვანი რეფორმა; მათ შორის, არ გატარდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოვლისმომცველი რეფორმა;

- ევროპულმა კომისიამ გასცა რეკომენდაცია შეიქმნას "განსაკუთრებული კეთილსინდისიერების (integrity) შემოწმების სისტემა", საერთაშორისო ექსპერტების გადამწყვეტი ჩართულობით. სასამართლო სისტემის ყველა წამყვანი თანამდებობის კანდიდატისა და ამჟამად დანიშნული პირებისთვის, კერძოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისა და სასამართლოს თავმჯდომარეებისთვის;

- საბჭო 2 წლის შემდგომ კვლავ სრული შემადგენლობით მუშაობს. დაინიშნა 5 ახალი არამოსამართლე წევრი, თუმცა მიუხედავად მათი დანიშვნისა საბჭოში კვლავ არ ისმის განსხვავებული/კრიტიკული აზრი;

- სამ მოქმედ მოსამართლეს - მიხეილ ჩინჩალაძეს, ლევან მურუსიძეს, ირაკლი შენგელიას და ყოფილ მოსამართლე ვალერიან ცერცვაძეს მნიშვნელოვან კორუფციაში ჩართულობის გამო პერსონალური სანქციები დაუწესა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა. აღნიშნულ საკითხზე, სანქცირებული მოსამართლეების სოლიდარობის ნიშნად ქართულმა ოცნებამ 3-ჯერ ჩააგდო საგამოძიებო კომისიის შექმნის პროცედურა;

- დამოუკიდებელი ინსპექტორის პოზიციაზე განწესდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოფილი წევრი - შოთა ქადაგიძე;

- საპროკურორო საბჭოში დაინიშნენ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოფილი წევრები: ვასილ მშვენიერაძე და პაატა სილაგაძე;
- იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შემადგენლობაში დაბრუნდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოფილი წევრი - დიმიტრი გვრიტიშვილი;

- საბჭომ სხდომა 71-ჯერ გამოაცხადა, თუმცა მხოლოდ 33-ჯერ ჩაატარდა. 33 სხდომიდან 20-ს არ დაესწრო თავად საბჭოს თავმჯდომარე ნინო ქადაგიძე;

- სხდომათა დღის წესრიგი მუდმივად კანონით დადგენილი ვადის დარღვევით ქვეყნდება, ასევე საკითხთა ფორმულირება არის ძალიან ზოგადი ხასიათის და ხშირად შეიცვას სხდომისთვის არარელევანტურ საკითხებს; მაგალითად, ზოგიერთ რაიონულ (საქალაქო)/სააპელაციო სასამართლოებში პალატების/კოლეგიების შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ საკითხი 21-ჯერ მოიხსნა დღის წესრიგიდან;

- საბჭოს მიერ უკვე 6 თვეა არ ქვეყნდება სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები;

- 2023 წლის განმავლობაში დაინიშნა 1 ახალი მოსამართლე, ხოლო სასამართლო სისტემა დატოვა 8 მოსამართლემ. 33 გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლე გადაინიშნა უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე;

- მოსამართლის პოზიციიდან გათავისუფლდა მოსამართლე ნინო გიორგაძე. მიუხედავად მოსამართლის მოთხოვისა მისი საქმის მასალების გასაჯაროების შესახებ, საბჭო ამ დრომდე არ აქვეყნებს მოსამართლის შეფასების ანგარიშებს;

- 2023 წელს 4 მოსამართლე იქნა მივლენილი სხვა სასამართლოში. მოსამართლე ქეთევან თხელიძე 1 წლის განმავლობაში 4-ჯერ მიავლინეს სხვა სასამართლოში.

სასამართლო რეფორმა

2022 წლის 17 ივნისს ევროკომისიამ საქართველოს მიერ ევროკავშირის წევრობასთან დაკავშირებით გაკეთებულ განაცხადზე მოსაზრება გამოაქვეყნა. კომისიამ გასცა რეკომენდაცია საქართველოს მინიჭებოდა კანდიდატის სტატუსი, თუ იგი შესაბამის პრიორიტეტულ მოთხოვნებს შეასრულებდა[1]. ამ პრიორიტეტებიდან ერთ-ერთი შეეხებოდა სასამართლო სისტემას. კომისიის რეკომენდაციის თანახმად, საქართველომ უნდა მიიღოს და განახორციელოს მართლმსაჯულების რეფორმის გამჭვირვალე და ეფექტიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2021 წლის შემდგომი პერიოდისათვის, რომელიც დაეფუძნება: (1) ფართო, ინკლუზიურ და პარტიათა შორის წარმართულ საკონსულტაციო პროცესს; (2) უზრუნველყოს სასამართლოს დამოუკიდებლობა, ანგარიშვალდებულება და მიუკერძოებლობა; (3) უზრუნველყოს ყველა სასამართლო და საგამოძიებო ინსტიტუტის ჯეროვანი ფუნქციონირება და კეთილსინდისიერება მათ შორის უზენაეს სასამართლოსა და გენერალური პროკურორის შემთხვევაში; (4) გაატაროს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ჯეროვანი რეფორმა და დანიშნოს დანარჩენი 5 წევრი (2021 წლის ივნისიდან საბჭო მხოლოდ 10 წევრის შემადგენლობით მუშაობდა). ყველა ეს ზომა უნდა გატარდეს ევროპული სტანდარტებისა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციების სრული დაცვით.

2023 წლის 14 მარტს ვენეციის კომისიამ გამოაქვეყნა მოსაზრება „საერთო სასამართლოების შესახებ“[2] საქართველოს ორგანულ კანონში დაგეგმილ ცვლილებებთან დაკავშირებით, რომელიც მმართველი პარტიის განცხადებით “მიზნად ისახავს ევროკომისიის მიერ 12-პუნქტიანი გეგმის ფარგლებში განსაზღვრული ერთ-ერთი ამოცანის შესრულებას და საბოლოოდ, ემსახურება საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას”[3]. ამასთანავე, ვენეციის კომისიისათვის წარდგენილი განმარტებითი ბარათის თანახმად ცვლილებები ქვეყანაში სასამართლო რეფორმის ყოვლისმომცველი სტრატეგიის მხოლოდ პირველი ნაბიჯი იყო და შემდგომი რეფორმებიც განიხილებოდა[4].

კომისიამ დასკვნაში აღნიშნა, რომ ცვილებათა პაკეტი არ არის ყოვლისმომცველი. იგი არ ითვალისწინებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საფუძვლიან რეფორმას და ვენეციის კომისიის

[1] Commission Opinion on Georgia's application for membership of the European Union, Communication From The Commission To The European Parliament, The European Council And The Council, COM(2022) 405 final, 17.06.2022. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/479R9Cl

[2] Follow-up opinion to four previous opinions concerning the organic Law On Common Courts, European Commission For Democracy Through Law (Venice Commission), CDL-AD(2023)006, 14.03.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/48n3uDI

[3] ანრი ოხანაშვილმა საერთო სასამართლოების შესახებ კანონში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით ბრიფინგი გამართა, საქართველოს პარლამენტი, 04.11.2022. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/wzIU7

[4] Follow-up opinion to four previous opinions concerning the organic Law On Common Courts, European Commission For Democracy Through Law (Venice Commission), CDL-AD(2023)006, 14.03.2023. პარა. 12. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3RVNe5K

წარსულ რეკომენდაციებს[5]. ასევე, საბჭოს მიმართ კორპორატივიზმისა და პირადი ინტერესების შესახებ მუდმივი და ფართოდ გავრცელებული ბრალდებები აზიანებს სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობას და ეს ხელისუფლების მიერ სერიოზულად უნდა იქნას აღქმული[6].

კომისიამ გამოყო ხუთი მთავარი რეკომენდაცია[7]:

- კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად განხორციელდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოვლისმომცველი რეფორმა;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფართო უფლებამოსილება შეიზღუდოს მოსამართლეთა თანხმობის გარეშე გადაადგილებისა და მივლინების დროს;
- გადაიხედოს მოსამართლეთა საქმიდან ჩამოცილების პროცედურა;
- გადაიხედოს დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები "პოლიტიკურ ნეიტრალიტეტთან" მიმართებით;
- უზრუნველყოფილი იქნას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ნომინირების გადაწყვეტილებების ეფექტური გასაჩივრების უფლება (უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებათა სავალდებულო ხასიათი);

კომისიამ ასევე მოუწოდა გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის პოცედურის გამარტივებისკენ. დასკვნაში საუბარი იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრთა დანიშვნის აუცილებლობაზეც.

17 მაისს საქართველოს პარლამენტმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 5 არამოსამართლე წევრიდან 3 აირჩია[8], ტრისტან ბენაშვილი 93 ხმით, გიორგი გზობავა 91 ხმით, ხოლო ზურაბ გურასპაშვილი 93 ხმით. კენჭისყრამ ხმაურის ფონზე ჩაიარა. მას შემდეგ რაც საბჭოს 3-მა ახალმა წევრმა ხმათა საკმარისი რაოდენობა მიიღო, ოპოზიციის ნაწილმა პროტესტის ნიშნად დარბაზი დატოვა და პარლამენტში ტექნიკური შესვენება გამოცხადდა. სხდომის განახლების შემდეგ ხმათა საკმარისი რაოდენობა ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო[9].

კოალიციამ დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის უარყოფითად შეაფასა საბჭოს არამოსამართლე წევრებად ტრისტან ბენაშვილის, გიორგი გზობავას და ზურაბ გურასპაშვილის არჩევა[10]. არასამთავრობო ორგანიზაციათა გაერთიანებამ აღნიშნა, რომ 32 კანდიდატიდან 5 პირი კოალიციაში შემავალმა ორგანიზაციებმა და უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა წარადგინეს. ამ პირთაგან ვერცერთმა ხმათა საკმარისი

[5] იქვე. პარა. 12.
[6] იქვე.პარა. 15.
[7] იქვე. პარა 52.
[8] პარლამენტმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 3 ახალი წევრი აირჩია, საქართველოს პარლამენტი. 17.05.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Rwh14G
[9] პარლამენტმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 3 არამოსამართლე წევრი აირჩია, პუბლიკა, 17.05.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/jAIL2
[10] კოალიცია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრების არჩევას ეხმაურება, კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, 18.05.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/bdiQR

რაოდენობა ვერ მიიღო. ამასთანავე, კოალიციის შეფასებით ტრისტან ბენაშვილის, გიორგი გზობავას და ზურაბ გურასპაშვილის გასაუბრებებმა აჩვენა, რომ ისინი ვერ ხედავენ სისტემაში არსებულ მთავარ გამოწვევებს და მათი დანიშვნა "კლანის" პოზიციებს გაამყარებს.

2023 წლის 13 ივნისს, საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში შესატანი ცვლილებები,[11] რომელიც საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი მხოლოდ ვენეციის კომისიის ახალი დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ გახდა.

9 ოქტომბერს ვენეციის კომისიამ მორიგი დასკვნა გამოაქვეყნა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონთან დაკავშირებით[12]. კომისიამ კვლავ ყურადღება გაამახვილა 5 ძირითად რეკომენდაციაზე:

1. საბჭოს ყოვლისმომცველ რეფორმაზე რომელიც მოიცავს: იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრთა დანიშვნას, საბჭოში გადაწყვეტილების ორმაგი ⅔-ით მიღების პროცედურას, საბჭოს წევრთა საფეხურეობრივ დანიშვნას, საბჭოს ყოფილ წევრთა ხელახალი დანიშვნის შეზღუდვას და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრთა შერჩევის პროცედურას - კომისიამ პირველი რეკომენდაცია პრიორიტეტულად გამოყო, აღნიშნა რომ მცირე ან ტექნიკური ცვლილებები არ დააკმაყოფილებს ამ რეკომენდაციას[13]. კომისიამ ასევე ისაუბრა „ვეტინგის" (vetting) პროცედურის განხილვაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმის ფარგლებში[14] და განმარტა, რომ რეკომენდაციები გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე უნდა განხორციელდეს[15].
2. მოსამართლის გადაადგილებასა და მივლინება - მიუხედავად გარკვეული ცვლილებებისა რეკომენდაცია კვლავ შეუსრულებელია[16];
3. მოსამართლეთა საქმიდან ჩამოცილების პროცედურა - რეკომენდაცია შესრულებულია[17];
4. დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები "პოლიტიკურ ნეიტრალიტეტთან" მიმართებით - თუ სექტემბრის ცვლილებათა პაკეტს მიიღებენ რეკომენდაცია შესრულებულად ჩაითვლება[18];
5. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებათა სავალდებულო ხასიათი - რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია[19];

[11] პარლამენტმა „საერთო სასამართლოების შესახებ" კანონპროექტი მესამე მოსმენით მიიღო, საქართველოს პარლამენტი, 13.06.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://rb.gy/kirydh
[12] Follow-up opinion to previous opinions concerning The Organic Law On Common Courts, European Commission For Democracy Through Law (Venice Commission), CDL-AD(2023)033. 09.10.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://rb.gy/n87yn8
[13] პარა. 49.
[14] პარა. 11.
[15] პარა 14.
[16] პარა. 50.
[17] პარა. 51.
[18] პარა. 52.
[19] იქვე. პარა. 53.

ასევე, კომისიამ განსაზღვრა 7 დამატებითი რეკომენდაცია, რომელთაგან კვლავ შეუსრულებელი რჩება: უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატის ასაკობრივი კრიტერიუმების გამკაცრება, ჩიხსაწინააღმდეგო მექანიზმის შემუშავება უზენაეს სასამართლოში წარდგენის პროცედურაში, მოსამართლეთა გადაადგილებისას კონკრეტული კრიტერიუმების განსაზღვრა, მათ შორის სპეციალიზაცია, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადის შემცირება[20].

კოალიციამ დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის გამოაქვეყნა საკუთარი ხედვა[21] და მოუწოდა საქართველოს პარლამენტს, პირველ რიგში აღიაროს მართლმსაჯულების სისტემაში არსებულ პრობლემათა კომპლექსურობა, გაითვალისწინოს ვენეციის კომისიისა და ადგილობრივი აქტორების მოსაზრებები და დაიწყოს ინკლუზიური პროცესი რეალური და ფუნდამენტური რეფორმის გასატარებლად[22].

17 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა საბჭოში დარჩენილი 2 არამოსამართლე წევრის პოზიცია შეავსო და გოგა კიკილაშვილი და ლევან ნემსაძე აირჩია[23]. უნდა აღინიშნოს, რომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი[24] კანდიდატი გოგა კიკილაშვილი საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე ხვიჩა კიკილაშვილის შვილია, რომელმაც 16 ოქტომბრის გადაწყვეტილებით (პლენუმის 9 წევრიდან 6-მა დასკვნას მხარი დაუჭირა), პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილის მიერ კონსტიტუციის დარღვევა დაადგინა. გოგა კიკილაშვილმა უარყო, რომ საბჭოს წევრის თანამდებობაზე დანიშვნა მისი ნათესაური კავშირებითაა განპირობებული[25].

8 ნოემბერს ევროკომისიამ გასცა რეკომენდაცია საქართველოს მიენიჭოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი[26], სადაც 9 დათქმიდან ერთ-ერთი შეეხებოდა სასამართლო რეფორმის დასრულებას.

---

[20] იქვე. პარა. 54.

[21] მართლმსაჯულების რეფორმა დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის კოალიციის ხედვა, კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, 09.10.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://rb.gy/ahqgnt

[22] კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ დაინიცირებულ კიდევ ერთ ფასადურ პროექტს და ვენეციის კომისიის დასკვნას ეხმიანება, კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, 16.10.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://rb.gy/sdu01h

[23] პარლამენტმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2 არამოსამართლე წევრი აირჩია, პუბლიკა, 17.10.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://rb.gy/izj174

[24] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრობის კანდიდატები, საქართველოს პარლამენტი, 20.10.2022. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://rebrand.ly/17dqd2x

[25] საკონსტიტუციოს მოსამართლის შვილი ამბობს, რომ იუსტიციის საბჭოს წევრად ნათესაური კავშირის გამო არ აურჩევიათ, რადიო თავისუფლება, 18.10.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32643040.html

[26] რას მოიცავს 9 დათქმა - ევროკომისიამ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების რეკომენდაცია გასცა, რადიო თავისუფლება, 08.11.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://rebrand.ly/bkffhlk

ანგარიშის თანახმად, საქართველოს საერთო ჯამში ამ მიმართულებით შეზღუდული პროგრესი აქვს[27]. კომისიის შეფასებით შემუშავებული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა არ პასუხობს მართლმსაჯულების მთავარ გამოწვევებს. ვენეციის კომისიის მთავარი რეკომენდაციები იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმისა და უზენაესი სასამართლოს შესახებ კვლავ უპასუხოდ დარჩა.

კომისიამ ჩამოაყალიბა 3 პრიორიტეტული საკითხი, რომელიც საქართველომ 2024 წლისთვის უნდა შეასრულოს:

1. "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში შევიდეს ცვლილებები ვენეციის კომისიის რეკომენდაციებთან სრულ შესაბამისობაში, ისეთ საკითხებზე როგორიცაა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილება მოსამართლეთა გადაადგილების და დისციპლინურ სამართალწარმოების დროს და ასევე უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა დანიშვნის პროცესში გასაჩივრების ეფექტური უფლება.
2. განხორციელდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფართო რეფორმა ვენეციის კომისიის რეკომენდაციებთან შესაბამისობაში. კერძოდ, შეიქმნას განსაკუთრებული პატიოსნების/კეთილსინდისიერების (integrity) შემოწმების სისტემა, საერთაშორისო ექსპერტების გადამწყვეტი ჩართულობით. სასამართლო სისტემის ყველა წამყვანი თანამდებობის კანდიდატისა და ამჟამად დანიშნული პირებისთვის, კერძოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისა და სასამართლოს თავმჯდომარეებისთვის. გარდა ამისა, შეიქმნას ეფექტური მუდმივი და პერიოდული ქონებრივი დეკლარაციების სისტემა, საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით როგორც საზედამხედველო, ასევე საკონსულტაციო ფუნქციებით.
3. მიიღოს საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი, რომელიც მოიცავს გენერალური პროკურორის დანიშვნის პროცედურის შეცვლას პარლამენტში კვალიფიციური უმრავლესობით; პროკურატურის შესახებ კანონის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, ვენეციის კომისიის რეკომენდაციების და OECD და TAIEX-ის მიერ კოლეგიური განხილვა მართლმსაჯულების სექტორის ფუნქციონირებისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

2023 წლის 25 დეკემბერს გამოქვეყნდა ევროკომისიის 2023 წლის გაფართოების პოლიტიკის შესახებ კომუნიკაციაში საქართველოსთვის განსაზღვრული ნაბიჯების განსახორციელებელი ღონისძიებები[28]. აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე 2024 წელს საქართველოს ხელისუფლება გეგმავს "ჰოლისტიკური და ეფექტიანი სასამართლო რეფორმის დასრულებას და განხორციელებას, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და პროკურატურის ყოვლისმომცველი

[27] COMMISSION STAFF WORKING DOCUMENT Georgia 2023 Report, SWD(2023) 697 final, European Commission, 08.11.2023. p. 20. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://rebrand.ly/eaqromt

[28] ევროკომისიის 2023 წლის გაფართოების პოლიტიკის შესახებ კომუნიკაციაში საქართველოსთვის განსაზღვრული ნაბიჯების განსახორციელებელი ღონისძიებები 2023 წლის 27 ნოემბერს დამტკიცდა ევროინტეგრაციის სამთავრობო კომისიის მიერ, 25.12.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://www.gov.ge/files/288_86884_123528_ActionPlanforEUs9steps.pdf

რეფორმის ჩათვლით, ვენეციის კომისიის რეკომენდაციების სრულად განხორციელებისა და გამჭვირვალე და ინკლუზიური პროცესის უზრუნველყოფის გზით". თუმცა, განსახორციელებელ აქტივობათა ჩამონათვალში გათვალისინებულია მხოლოდ სამუშაო ფორმატის შექმნა ყველა საპარლამენტო პოლიტიკური პარტიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით სასამართლო და პროკურატურის რეფორმის საკითხებზე და უკვე არსებული საკანონმდებლო ცვლილებების განახლება/მიღება. აღნიშნული აქტივობების განხორციელება სამოქმედო გეგმის თანახმად 2024 წლის იანვარში უნდა დაიწყოს და 3 თვეში უნდა დასრულდეს. სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს მხოლოდ საკანონმდებლო ცვლილებების მიღებასა და სამუშაო ჯგუფის შექმნას.

გავლენები მართლმსაჯულების სისტემაზე

სანქცირებული მოსამართლეები

2023 წლის 5 აპრილს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა მნიშვნელოვან კორუფციაში ჩართულობის გამო ქვეყანაში შესვლაზე პერსონალური სანქციები დაუწესა სამ მოქმედ მოსამართლეს - მიხეილ ჩინჩალაძეს, ლევან მურუსიძეს, ირაკლი შენგელიას და ყოფილ მოსამართლე ვალერიან ცერცვაძეს[29].

მიხეილ ჩინჩალაძე ამჟამად თბილისის სააპელაციო სასამართლოს (2017 წლიდან) და ამავე სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარეა (2020), წარსულში იგი ასევე იკავებდა ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარის (2019 - 2020), უზენაესი სასამართლოს მოსამართლის (2007 - 2017) და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის პოზიციას (2007 - 2015)[30]. მიხეილ ჩინჩალაძე ხშირად მოიხსენიება სასამართლო სისტემაში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიან პირად, როგორც ნაციონალური მოძრაობის, ასევე ქართული ოცნების მმართველობის პერიოდში[31].

ლევან მურუსიძე ამჟამად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრია. 2013 - 2017 წლებში იგი ასევე იკავებდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის თანამდებობას. 2006 - 2015 წლებში ის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე იყო. მის სახელს უკავშირდება არაერთი გახმაურებული საქმე მათ შორის სანდრო გირგვლიანის, პაატა როსტომაშვილის, გიორგი მიქიაშვილის და ანანია გაჩეჩილაძის (აიისას) საქმეები[32].

ირაკლი შენგელია ამჟამად თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე და საპროკურორო საბჭოს წევრია, წარსულში იგი ასევე იკავებდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის (2017 - 2021), თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარის (2019), ამავე სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის (2017) და ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარის (2007, 2012, 2016, 2017) პოზიციებს[33]. ირაკლი შენგელიას მიმართ ხშირად ისმის ნეპოტიზმის ბრალდებები[34].

---

[29] STATEMENT BY SECRETARY ANTONY J. BLINKEN: Public Designations of Mikheil Chinchaladze, Levan Murusidze, Irakli Shengelia, and Valerian Tsertsvadze, Due to Involvement in Significant Corruption, U.S. EMBASSY TBILISI, 05.05.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://rebrand.ly/m9gneop

[30] მიხეილ ჩინჩალაძე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://rebrand.ly/ykt299m

[31] "კლანის წევრები ან მათთან დაახლოებულები" - ვინ გახდება უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, ტაბულა, 25.12.2018. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://rebrand.ly/2m61gnf

[32] ლევან მურუსიძე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://rebrand.ly/820d58

[33] ირაკლი შენგელია, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://rebrand.ly/2lyhgx8

[34] ნეპოტიზმი სასამართლო სისტემაში, საქართველოს სასამართლოს გუშაგი, 02.05.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://courtwatch.ge/articles/nepotism-judiciary/

ვალერიან ცერცვაძე 2017 წლიდან მოსამართლის უფლებამოსილებას აღარ ახორციელებს. წარსულში იგი სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის, სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარის, იუსტიციის უმაღლესი სკოლის საბჭოს თავმჯდომარის და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის პოზიციას იკავებდა[35].

სანქცირებულ პირებს სხვადასხვა პერიოდებში მხარდაჭერა გამოუცხადა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ცხრა წევრმა[36], უზენაესი სასამართლოს მოქმედმა მოსამართლეებმა ვლადიმერ კაკაბაძემ[37] და ლევან თევზაძემ[38], თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის საქმეთა პალატის მოსამართლე დავით მამისეიშვილმა[39], თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის თავმჯდომარე სერგო მეთოფიშვილმა და ამავე სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ბადრი კოჭლამაზაშვილმა[40].

აშშ-ში სასწავლო ვიზიტზე უარი განაცხადეს მოსამართლეებმა ნანა ჯოხაძემ, თამარ ბეჟანიშვილმა და კონსტანტინე კოპალიანმა[41]. ფორმულას მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად აშშ-ში ტრენინგზე ვიზიტის სურვილის მქონე მოსამართლეებზე გავლენიანი კოლეგების მხრიდან ზეწოლა ხორციელდებოდა[42].
10 აპრილს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს შეხვდა[43], მათ შორის სანქცირებულ მოსამართლე ლევან მურუსიძეს. ღარიბაშვილმა სრული მხარდაჭერა გამოუცხადა ყველა მოსამართლეს და განაცხადა, რომ სასამართლო ქართული ოცნების მმართველობის პერიოდში გახდა დამოუკიდებელი და მიუღებელია ყოველგვარი ჩარევა ან რაიმე გავლენის მოხდენა მოსამართლეებზე.

6 აპრილს საპარლამენტო ოპოზიციამ დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა მოითხოვა[44]. 18 აპრილს პარლამენტში პლენარულ სხდომაზე აღნიშნული საკითხი კენჭისყრაზე დაყენდა, თუმცა

---

[35] ვალერი ცერცვაძე იუსტიციის უმაღლესი სკოლის საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს, netgazeti.ge , 11.07.2016. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/128306/

[36] ნინო ქადაგიძე, ნიკოლოზ მარსაგიშვილი, თამარ ღვამიჩავა, ქეთევან ცინცაძე, დიმიტრი გვრიტიშვილი, ლევან მიქაბერიძე, თემურ გოგოხია, ბადრი შონია, პაატა სილაგაძე.

[37] ნაზი ჯანეზაშვილის Facebook პოსტი, ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://rebrand.ly/m0t3kkf ,

[38] ლევან თევზაძის Facebook პოსტი, ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://rebrand.ly/8gudvx6 ,

[39] დავით მამისეიშვილი: გამოდის, გადაწყვეტილების მიღების დროს უნდა ვიფიქროთ იმაზე, მოეწონება თუ არა ეს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის საელჩოს, ipress, 06.04.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://rebrand.ly/b82au9f

[40] "შეიძინა პოლიტიკური შინაარსიც" - მოსამართლე აშშ-ში სასწავლო ვიზიტზე უარს ამბობს, ფორმულა, 13.04.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://rebrand.ly/mmuqi17

[41] რატომ თქვა აშშ-ში ვიზიტზე უარი ბათუმის სასამართლოს მოსამართლე თამარ ბეჟანიშვილმა, ბათუმელები, 14.04.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://rebrand.ly/5gtml2j

[42] "შეიძინა პოლიტიკური შინაარსიც" - მოსამართლე აშშ-ში სასწავლო ვიზიტზე უარს ამბობს, ფორმულა, 13.04.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://rebrand.ly/kdak2nl

[43] მიუღებელია სუვერენულ სასამართლოში ჩარევა — ღარიბაშვილი მოსამართლეთა სანქცირებაზე, netgazeti.ge, 10.04.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/664483/

[44] პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნაზე კენჭისყრა ჩავარდა, ოცნებამ რეგისტრაცია არ გაიარა, ფორმულა, 18.04.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://rebrand.ly/8qx1htp

მმართველმა პარტიამ მოსამართლეების მიმართ სოლიდარობის მიზნით არ გაიარა რეგისტრაცია და კვორუმის არარსებობის გამო ამ საკითხზე კენჭისყრა ვერ შედგა[45]. იგივე შემთხვევა კიდევ ორჯერ გამეორდა[46].

კოალიციამ დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის მმართველი პარტიის მსგავსი ქმედება სასამართლოში არსებული გავლენიანი ჯგუფის - კლანის მხარდაჭერის გამოხატვად შეაფასა[47].

საკადრო ცვლილებები

2023 წელს მოსამართლეთა გავლენიანმა ჯგუფმა განსაკუთრებით გაიმყარა პოზიცია მართლმსაჯულების სისტემაში. გარდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 5 ახალი არამოსამართლე წევრის დანიშვნისა, ასევე ნაცნობი სახეები დაბრუნდნენ ისეთ ადმინისტრაციულ პოზიციებზე როგორიცაა დამოუკიდებელ ინსპექტორი, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოსა და საპროკურორო საბჭოს წევრობა.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭო

24 მაისს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარე ბადრი შონიამ პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს წევრის თანამდებობა[48]. ამავე სხდომაზე კანონის ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობით (დამოუკიდებელი საბჭოს 7 წევრიდან 2-ს (1 მოსამართლე წევრს და 1 არამოსამართლე წევრს)

[45] პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნაზე კენჭისყრა ჩავარდა, ოცნებამ რეგისტრაცია არ გაიარა, ფორმულა, 18.04.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://rebrand.ly/czcrbyj

[46] ამ კვირაში მოსამართლეთა საქმიანობაზე საგამოძიებო კომისიის შექმნას კენჭს არ უყრიან, ამბობს პაპუაშვილი, რადიო თავისუფლება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32387051.html

[47] „ქართული ოცნება“ აგრძელებს სასამართლო კლანის ინტერესების დაცვას, კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, 19.04.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://www.coalition.ge/index.php?article_id=285&clang=0

[48] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულება 1/56 ბ. შონიას იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებისგან გათაისუფლების შესახებ, 24.05.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/Uploads/2023/6/56-2023.pdf

ირჩევს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო საკუთარი შემადგენლობიდან) თანამდებობაზე განმწესდა დიმიტრი გვრიტიშვილი[49].

დიმიტრი გვრიტიშვილი ასევე იკავებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარის პოზიციას. ამასთანავე, 2021 წლის ნოემბრიდან იკავებდა როგორც სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს წევრის, ასევე თავმჯდომარის პოზიციას[50] და თანამდებობა 2022 წლის 18 ოქტომბერს პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა[51]. 6 დღეში, ლევან მურუსიძესთან ერთად, იგი მოსამართლეთა კონფერენციამ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად აირჩია[52].

დამოუკიდებელი ინსპექტორი

16 ივნისს, ასევე პირადი განცხადების საფუძველზე, თანამდებობიდან გათავისუფლდა დამოუკიდებელი ინსპექტორი ზურაბ აზნაურაშვილი[53]. ამავე სხდომაზე საბჭომ იგი საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის პოზიციაზე განამწესა.
დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობაზე კონკურსში 32 კანდიდატი დარეგისტრირდა, თუმცა მიღებული განცხადებები და თანდართული საბუთები მოთხოვნებთან შესაბამისობაში მხოლოდ 9 პირს[54] ჰქონდა[55]. აქედან გასაუბრება მხოლოდ 5-მა კანდიდატმა[56] გაიარა[57].

---

[49] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულება 1/57, დ. გვრიტიშვილის იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს წევრად არჩევის შესახებ, 24.05.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/Uploads/2023/6/57-2023.pdf

[50] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულება 1/183, დ გვრიტიშვილის იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარედ არჩევის შესახებ, 04.11.2021. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/Uploads/2021/12/183.pdf

[51] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულება 1/106, დ. გვრიტიშვილის იუსტიციის უმაღლესი საკოლის დამოუკიდებელი საბჭოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებისგან გათავისუფლების შესახებ, 18.10.2022. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/Uploads/2022/11/106-2022.pdf

[52] ლევან მურუსიძე და დიმიტრი გვრიტიშვილი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრებად აირჩიეს, civil.ge, 24.10.2022. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/512621

[53] საბჭოს სხდომათა მიმდინარეობა - ივნისი, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 12.07.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://gdi.ge/ge/news/sabchos-skhdomata-mimdinareoba-ivnisi-2

[54] ნინო დოკაძე; ნინო ელიკაშვილი; ზაზა თაქთაქიშვილი; ანა მურაჩაშვილ ონიანი; ლევან ნემსაძე; ბექა ფაცაცია; შოთა ქადაგიძე - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოფილი წევრი (2017-2021); ზაზა ხარებავა - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოფილი წევრი (2017-2021); მეგი ჯღარკავა.

[55] საბჭოს სხდომათა მიმდინარეობა - ივლისი, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 04.08.2023. (ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://gdi.ge/ge/news/sabchos-skhdomata-mimdinareoba-ivlisi , 08.11.2023).

[56] ანა მურაჩაშვილ ონიანმა, ლევან ნემსაძემ, ბექა ფაცაციამ, შოთა ქადაგიძემ და ზაზა ხარებავამ.

[57] საბჭოს სხდომათა მიმდინარეობა - ივლისი, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 04.08.2023. (ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://gdi.ge/ge/news/sabchos-skhdomata-mimdinareoba-ivlisi , 08.11.2023).

საბოლოოდ, დამოუკიდებელი ინსპექტორის პოზიციაზე შოთა ქადაგიძე - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოფილი არამოსამართლე წევრი (2017-2021) დაინიშნა[58]. კოალიცია დაოუკიდებელი და ჰამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის გამოეხმაურა დამოუკიდებელი ინსპექტორის შერჩევის პროცესის გაუმჭვირვალობას. მისი შეფასებით, დამოუკიდებელ ინსპექტორად კლანისადმი ლოიალურად განწყობილი პირის დანიშვნა საფრთხეს უქმნის დისციპლინირების პროცესის სანდოობას და ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობის ხელყოფის მნიშვნელოვან რისკებს ქმნის[59].

საპროკურორო საბჭო

24 ოქტომბერს საბჭომ აირჩია საპროკურორო საბჭოს ორი წევრი ვასილ მშვენიერაძე და პაატა სილაგაძე[60]. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ირჩევს საპროკურორო საბჭოს 2 წევრს, საქართველოს საერთო სასამართლოების იმ მოსამართლეთაგან, რომელთაც აქვთ მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება.

საქართველოში სისხლის სამართლის მიმართულებით 100-ზე მეტი მოსამართლეა განმწესებული და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი 5 წელზე მეტია ახორციელებს საკუთარ უფლებამოსილებას, თუმცა საბჭომ არჩევანი შეაჩერა 2 გავლენიან მოსამართლეზე:

- ვასილ მშვენიერაძე, რომელსაც 2008 წლიდან ეკავა შემდეგი ადმინისტრაციული და ორგანიზაციული პოზიციები:
    - საგარეჯოს რაიონული სასამართლოს თავმდჯომარე (2008);
    - გორის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე (2008);
    - მცხეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე (2008);
    - თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე (დაინიშნა 2017 და 2020 წლებში);
    - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალქო საქმეთა კოლეგიის თავმდჯომარე (2022 წელს დაეკისრა თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება, 1 თვეში დაინიშნა თავმჯდომარედ);
    - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის თავმდჯომარე (დაინიშნა 2017 და 2021 წლებში);
    - ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმდჯომარე (დაინიშნა 2020 წელს);
    - ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმდჯომარე (დაინიშნა 2020 წელს);
    - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი (2017 - 2021);

[58] იქვე.

[59] კოალიცია დამოუკიდებელ ინსპექტორად შოთა ქადაგიძის არჩევას ეხმაურება, კოალიცია დამოუკიებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, 31.07.2023. (ხელმისაწვდომია: http://www.coalition.ge/index.php?article_id=295&clang=0 , 08.11.2023).

[60] საბჭოს სხდომათა მიმდინარეობა - ოქტომბერი, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 06.11.2023. (ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://gdi.ge/ge/news/sabchos-skhdomata-mimdinareoba-oqtomberi , 08.11.2023).

    - საპროკურორო საბჭოს წევრი (2015 - 2019);
    - იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს წევრი და თავმჯდომარე (დაინიშნა 2022 წელს და **დღემდე იკავებს აღნიშნულ პოზიციას**);
- პაატა სილაგაძე:
    - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი (2021 წლიდან დღემდე);
    - თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეა (2019 წელს დაინიშნა საგამოძიებო ბოლეგიაში, 2021 წლიდან არის სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე);
    - საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე (2008 - 2018);
    - მცხეთის რაიონული სასამართლოს თავმდჯომარე (2006 - 2008);

აშკარაა, რომ მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფი აგრძელებს მართლმსაჯულების სისტემაში ძალაუფლების კონცენტრირებას და საკვანძო პოზიციებზე ამწესებს ერთგულ კადრებს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომათა მიმდინარეობა

იუსტიციის უმაღლეს საბჭოში სხდომათა მიმდინარეობა 2022 წლის მსგავსად 2023 წელსაც ქაოტურად მიმდინარეობდა. 2023 წელს საბჭოს სხდომებს მონიტორინგს დამოუკიდებლად უწევდა 3 არასამთავრობო ორგანიზაცია[61]. მიუხედავად აღნიშნული ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონდომებისა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომათა მონიტორინგი მნიშვნელოვანი გამოწვევა აღმოჩნდა, რადგან სახელმწიფო სტრუქტურა განსაკუთრებული უპასუხისმგებლობით ეკიდებოდა საკუთარ საქმიანობას.

2023 წელს ინფორმაცია[62] სხდომათა დანიშვნის შესახებ **71-ჯერ გამოქვეყნდა**, აქედან დროულად 3 დღიანი ვადის დაცვით მხოლოდ **ერთი სხდომის შესახებ**. ინფორმაცია სხდომის შესახებ საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე ძირითადად სხდომის დანიშვნამდე 1 დღით ადრე, არასამუშაო საათებში ქვეყნდება. 71 ჩანიშნული სხდომიდან **ჩატარდა მხოლოდ 33 სხდომა** (46%). სხდომათა გადადების შესახებ ინფორმაცია გონივრულ ვადებში არ ქვეყნდება საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე. (რამოდენიმე შემთხვევაში ინფორმაცია სხდომის შესახებ ვებგვერდიდან აიღეს არასამთავრობო ორგანიზაციების მითითების შემდგომ). საბჭოს ცხელ ხაზზსა და საკონტაქტო ტელეფონის ნომერზე დარეკვისას (თუ ოპერატორმა ტელეფონს უპასუხა) ოპერატორს ხშირ შემთხვევაში არ აქვს ინფორმაცია სხდომის გადადების შესახებ, მათ შორის არც სხდომის დაწყებამდე 30 წუთით ადრე. სხდომა ხშირად უქმდება სხდომის დაწყებამდე 1 საათით ადრე, 30 წუთით ადრე, ან დანიშნული დროიდან რამოდენიმე საათში (ძირითადად თუ სხდომა დათქმულ დროს არ დაიწყო, სხდომის გადადების შესახებ ინფორმაციას მონიტორინგის განმახორციელებლი არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საბჭოს მრავალ თანამშრომელს 40 წუთიდან 2 საათამდე დაგვიანებით აწვდიან). რამოდენიმე შემთხვევაში აღნიშნულ პირთათვის სხდომათა ჩატარების შესახებ ინფორმაცია უცნობი იყო ღამის 9 საათის შემდგომაც.

ასევე, 2023 წელს სხდომათა არასამუშაო საათებში ჩატარების სურვილმა უფრო ხშირი ხასიათი მიიღო. წლის დასაწყისში დაგეგმილი სხდომები 6 საათამდე, 40 წუთიანი დაგვიანებით იმართებოდა ან 7 საათამდე უქმდებოდა, თუმცა ზაფხულის პერიოდიდან საბჭოში სხდომათა 6 საათის შემდგომ გაუქმებამ ან ჩატარებამ უფრო ხშირი ხასიათი მიიღო. მათ შორის 15 ივნისს სხდომა ღამის 10-ის 10 წუთზე გადაიდო, 10 ივლისს სხდომა ღამის 9 საათზე ჩატარდა, 27 ივლისს სხდომა 8-ის ნახევარზე დასრულდა, 4 აგვისტოს სხდომის გადადების შესახებ ინფორმაცია უცნობი იყო ღამის 10 საათის შემდგომაც, 9 აგვისტოს სხდომა საღამოს 7 საათზეც არ იყო დაწყებული, 24 ოქტომბერს სხდომა ღამის 10 საათზე დასრულდა.

[61] საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), საქართველოს სასამართლოს გუშაგი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA).

[62] წარმოდგენილი მონაცემები ეფუძნება საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის (GDI) მონიტორინგს 2023 წლის პირველი იანვრიდან ამავე წლის 28 დეკემბრის ჩათვლით.

ნინო ქადაგიძე, როგორც საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე უფლებამოსილია საჭიროებისამებრ მოიწვიოს საბჭოს სხდომა, ან დაავალოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს ნიკოლოზ მარსაგიშვილს მისი მოწვევა.

სხდომათა მიმდინარეობის პროცესში ასევე განსაკუთრებით მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს საბჭოს წევრთა დასწრება. გაცდენების სიხშირით უპირობო ლიდერს წარმოადგენს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო ქადაგიძე, რომელიც 33 სხდომიდან 20-ს(60%) არ ესწრებოდა (2 შემთხვევაში უცნობია ესწრებოდა თუ არა ნინო ქადაგიძე სხდომას, მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანიზაციებიდან ვერცერთი წარმომადგენელი ვერ დაესწრო).

ამჟამად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს ნიკოლოზ მარსაგიშვილს საბჭოს არცერთი სხდომა არ გამოუტოვებია, იგი რეგულარულად ესწრება და უძღვება საბჭოს სხდომათა მიმდინარეობას. მათ შორის, იგი სხდომათა პროცესში აქტიურადაა ჩართული/ძირითად ფუნქციებს ასრულებს მაშინაც კი თუ სხდომას ესწრება თავმჯდომარე ნინო ქადაგიძე.

გაცდენების სიხშირით მეორე ადგილზეა ასევე უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ქეთევან ცინცაძე. იგი 33 სხდომიდან 7-ს არ დაესწრო.

3 სხდომა გამოტოვა ლევან მურუსიძემ. 2 სხდომა თამარ ღვამიჩავამ. ხოლო, თითო სხდომა ლევან მიქაბერიძემ, თემურ გოგოხიამ და გოგა კიკილაშვილმა[63].

სხდომის დღის წესრიგი

სხდომათა მიმდინარეობის პროცესში ასევე განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს ჩამოყალიბებული დღის წესრიგის ბუნდოვანება. დღის წესრიგში გათვალისწინებული საკითხები განზოგადებულადაა ჩამოყალიბებული და დაინტერესებულ პირთათვის სხდომაზე დასწრების გარეშე განხილულ საკითხთა შინაარსი უცნობია. საბჭო ხშირად იყენებს შემდგომ ფორმულირებებს "საორგანიზაციო საკითხები", "ზოგიერთ ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანის შესახებ", "ზოგიერთ რაიონულ (საქალაქო)/სააპელაციო სასამართლოებში პალატების/კოლეგიების შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ", "ზოგიერთი მოსამართლის უფლებამოსილების თაობაზე", რომელიმე სასამართლოს თავმჯდომარის ან მოსამართლის წერილი და ა.შ.

სხდომაზე დასწრების გარეშე დაინტერესებულ პირთათვის უცნობია მოსამართლეთათვის გასვლითი შეხვედრების ორგანიზების, სახელფასო დანამატების განსაზღვრის, ბიუჯეტში

[63] ახალდანიშნული არამოსამართლე წევრი გოგა კიკილაშვილი არ ესწრებოდა პირველ სხდომას, რადგან სხდომაზე განიხილეს მისი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს წევრის პოზიციდან გათავისუფლების საკითხი, რადგან აღნიშნული შეუთავსებელი იყო მის ახალ პოზიციასთან.

დამატებითი თანხების გამოყოფის, მოსამართლეთათვის კერძო საკუთრების დაქირავების ან ბენზინით უზრუნველყოფის, სხვადასხვა ინსტანციებში ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვის, მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების, სკოლაში მსმენელთა ჩარიცხვის, მოსამართლის მიერ ფიცის დადების, სასამართლოს ინსფრასტრუქტურის მდგომარეობის, საბჭოს მიერ სხვადასხვა პოზიციების შევსებისა/შექმნისა[64] და სხვა ფაქტების შესახებ.

ასევე, მანკიერი პრაქტიკაა ჩამოყალიბებული დღის წესრიგში არარელევანტურ საკითხთა ჩამოწერის მხრივ. კერძოდ, სხდომის დღის წესრიგში მუდმივად ვხვდებით საკითხებს:

- ზოგიერთ ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანის შესახებ;
- ზოგიერთ რაიონულ (საქალაქო)/სააპელაციო სასამართლოებში პალატების/კოლეგიების შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ;
- საორგანიზაციო საკითხების შესახებ.

ეს საკითხები თითქმის ყველა დღის წესრიგშია გათვალისწინებული, თუმცა უმეტეს შემთხვევაში საბჭოს მდივანი საკითხებს სხდომის მიმდინარეობის პროცესშივე ხსნის. როგორც წესი, ნიკოლოზ მარსაგიშვილი საკითხთა მოხსნის მიზეზებს არ განმარტავს, თუმცა იმ ერთეულ შემთხვევებში როცა მან საფუძველი დაასახელა, აღმოჩნდა, რომ საბჭოს ან არაფერი არ ჰქონდა განსახილველი ან საკითხი არ იყო მომზადებული. მაგალითად, ზოგიერთ რაიონულ (საქალაქო)/სააპელაციო სასამართლოებში პალატების/კოლეგიების შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ საკითხი 2023 წელს 21-ჯერ მოიხსნა, ზოგიერთ ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანის შესახებ 17-ჯერ, ხოლო საორგანიზაციო საკითხების შესახებ - 12-ჯერ.

სხდომები ძირითადად 10-15 წუთის განმავლობაში მიმდინარეობს. იშვიათ შემთხვევებში როცა სხდომა 40 წუთი გრძელდება სხდომა ან არაორგანიზებულად იმართება, ან კონრეტულ პირებთან გასაუბრება იმართება. საბჭოს წევრთა ძირითადი ნაწილი სხდომის მიმდინარეობისას კვლავ არააქტიურია. განსხვავებული აზრი არ ფიქსირდება არც ახალი არამოსამართლე წევრების დანიშვნის შემდგომ. ყველა გადაწყვეტილება მიიღება ერთხმად. ფარული კენჭისყრისის პროცესში განსხვავებული ხმა ძალიან იშვიათია.

საბჭოს საქმიანობის გაუმჭვირვალობაზე ასევე მუთითებს ინსტიტუტის მიერ საკუთარი გადაწყვეტილებების გამოქვეყნების მიმართ უპასუხიმგებლო დამოკიდებულება. 2023 წლიდან საბჭოში დაიწყო გადაწყვეტილებათა გამოქვეყნების გაჭიანურება. მაგალითად 7 თებერვალს მოსამართლეთა დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილება 6 კვირიანი დაგვიანებით გამოქვეყნდა. ხოლო ივნისის თვიდან საბჭოს არცერთი გადაწყვეტილება აღარ გამოუქვეყნებია. უკანასკნელი გამოქვეყნებული გადაწყვეტილება, რომელიც საბჭომ სხდომაზე მიიღო შეხება 2 ივნისს შოთა გეწაძის თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან

[64] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობა, დამოუკიდებელი ინსპექტორის გათავისუფლება/დანიშვნა, მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტის კონსულტანტის პოზიციაზე წარსადგენი კანდიდატი, საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ ახალი შტატის შექმნა და თავმჯდომარის მოადგილის გამწესება,

გათავისუფლებას. 2 ივნისის შემდგომ საბჭოში 17 სხდომა ჩატარდა და თითქმის ყველა სხდომაზე საბჭომ რამოდენიმე გადაწყვეტილება მიიღო.

მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები

მოსამართლეთა დანიშვნა

2023 წელს ერთადერთი ახალი მოსამართლე დაინიშნა 3 წლიანი გამოსაცდელი ვადით - ქრისტინე კოპალიანი[65]. თუმცა იგი სასამართლო სისტემაში ახალი კადრი არ არის, 2011 წლიდან იგი სხვადახვა პოზიციას იკავებდა ქუთაისის საქალაქო, თბილისის საქალაქო, თბილისის სააპელაციო და საქართველოს უზენაეს სასამართლოებში[66].

ასევე, საერთო ჯამში 2023 წელს 33 მოსამართლე გამწესდა უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.
მაგალითად, 7 თებერვალს ერთხმად დანიშნა 8 მოსამართლე[67]. აქედან უვადოდ დაინიშნა 7 მოსამართლე:

1. თამარ ჭუნიაშვილი - თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში[68];
2. ზაზა რამიშვილი - ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში[69];
3. ტარიელ ტაბატაძე - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში[70];

[65] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულება 1/17, ქ. კოპალიანის მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ, 07.02.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/Uploads/2023/3/17-2023.pdf

[66] ქრისტინე კოპალიანი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://rebrand.ly/mniyprl

[67] ქრისტინე კოპალიანი დაინიშნა 3 წლიანი გამოსაცდელი ვადით რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში.

[68] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულება 1/11, თ. ჭუნიაშვილის თბილისის სააააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე უადოდ გამწესების შესახებ, 07.02.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/Uploads/2023/3/11-2023.pdf

[69] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულება 1/12, ზ. რამიშვილის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ, 07.02.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/Uploads/2023/3/12-2023.pdf

[70] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულება 1/13, ტ. ტაბატაძის თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ, 07.02.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/Uploads/2023/3/13-2023.pdf

4. გიორგი ლობჟანიძე[71] - ბათუმის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ქობულეთის მუნიციპალიტეტში;
5. ნანა ჩალათაშვილი[72] - გურჯაანის რაიონული სასამართლოში;
6. ნატა თედეშვილი[73] - რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში;
7. ია ლაბაძე[74] - მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში;

3 ნოემბერს 26 გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლე, რომელთა დანიშვნის გადაწყვეტილებებიც ამ დრომდე არ გამოქვეყნებულა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე[75]. ამასთანავე მოსამართლეებთან გასაუბრება 2 ნოემბერს ჩატარდა, თუმცა იგი დახურული ფორმატში გაიმართა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე არ დაიდო ინფორმაცია გასაუბრებების მიმდინარეობის შესახებ.

მოსამართლეთა გათავისუფლება

ნინო გიორგაძე

უპრეცენდენტო შემთხვევა დაფიქსირდა ბოლნისის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ნინო გიორგაძის შემთხვევაში. იგი 2020 წლის 18 ნოემბერს 3 წლიანი გამოსაცდელი ვადით დაინიშნა და უფლებამოსილების ვადა 2023 წლის 1 დეკემბერს ამოეწურა[76]. "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად თანამდებობაზე 3 წლის ვადით გამწესებული მოსამართლის საქმიანობის შესაფასებლად, თანამდებობაზე მისი გამწესებიდან 1 წლის თავზე და 2 წლის თავზე, აგრეთვე მოსამართლის თანამდებობაზე ყოფნის 3-წლიანი ვადის გასვლამდე 4 თვით ადრე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო წილისყრით შეარჩევს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთ მოსამართლე წევრს და ერთ არამოსამართლე წევრს, რომლებმაც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, 2 თვის ვადაში უნდა

[71] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულება 1/14, გ. ლობჟანიძის ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ, 07.02.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/Uploads/2023/3/14-2023.pdf

[72] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულება 1/15, ნ. ჩალათაშვილის გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ, 07.02.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/Uploads/2023/3/15-2023.pdf

[73] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულება 1/16, ნ. თედეშვილის გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ, 07.02.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/Uploads/2023/3/16-2023.pdf

[74] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულება 1/19, ი. ლაბაძის მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ, 07.02.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/Uploads/2023/3/19-2023.pdf

[75] 26 მოსამართლე თანამდებობაზე უვადოდ განწესდა, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, 03.11.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://bit.ly/3GTrX7n

[76] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულება 1/163, ნ. გიორგაძის ბოლნისის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების შესახებ, 18.11.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/Uploads/2021/2/163-2020.pdf

შეაფასონ შესაბამის პერიოდში მოსამართლის საქმიანობა. იმისათვის, რომ მოსამართლემ უვადოდ გასამწესებლად გასაუბრება გაიაროს და მის კანდიდატურას კენჭი ეყაროს აუცილებელია კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას სამმა ან სამზე მეტმა შემფასებელმა მიიჩნიოს, რომ მოსამართლე აკმაყოფილებს ან სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მოსამართლის მიერ მოპოვებულ ქულათა ჯამი ქულათა მაქსიმალური რაოდენობის არანაკლებ 70 პროცენტი უნდა იყოს[77]. მართალია, მოსამართლე ნინო გიორგაძისათვის ცნობილია მისი შემფასებლების ვინაობა, თუმცა მას აღნიშნული ინფორმაცია ჯერ არ გაუსაჯაროვებია.

შემფასებელთა მიერ მომზადებული ანგარიშების საფუძველზე ნინო გიორგაძემ ვერ დააგროვა ქულათა საკმარისი რაოდენობა[78] და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ მიიღო გადაწყვეტილება მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების საკითხის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ განხილვაზე უარის თქმის შესახებ. მოსამართლე, ნინო გიორგაძემ აღნიშნული გადაწყვეტილება პირველ ნოემბერს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე გაასაჩივრა, თუმცა მის საჩივარს მხარი საბჭოს არცერთმა წევრმა არ დაუჭირა. უნდა აღინიშნოს, რომ სხდომას საერთოდ არ ესწრებოდა, თავად გადაწყვეტილების მიმღები იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ქალბატონი ნინო ქადაგიძე[79].

ნინო გიორგაძე არის პირველი მოსამართლე, რომელიც გამოსაცდელი ვადის ამოწურვის შემდგომ უვადოდ არ გამწესდა. უფლებამოსილების ვადა 2 დეკემბერს ამოეწურა და იგი თანამდებობიდან 14 დეკემბერის გადაწყვეტილების საფუძველზე გაანთავისუფლეს (გადაწყვეტილება არ არის გამოქვეყნებული).

მან გამოაქვეყნა განცხადება, რომლის საფუძველზეც მოითხოვა დროულად იქნას უზრუნველყოფილი ინფორმაციის საჯაროობა, საზოგადოების ინფორმირების მიზნით[80]. ნინო გიორგაძემ ასევე ისაუბრა მის მიერ მიღებულ პროგრესულ გადაყვეტილებაზე, რომლის საფუძველზეც გაუქმდა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი მხოლოდ ერთი რელიგიური ორგანიზაციის დაფინანსების დისკრიმინაციული წესი.

კოალიციამ დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის მომხდარი ფაქტი სასამართლო სისტემიდან მოსამართლეების დევნად შეაფასა. განცხადებაში მითითებულია ნინო გიორგაძის მიერ საჯაროდ განცხადებული განსხვავებული აზრი 2021 წელს „საერთო

[77] "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 36/36[4].

[78] „სასამართლოს გუშაგი" დასჯად აფასებს იუსტიციის საბჭოს გადაწყვეტილებას - 3-წლიან გამოსაცდელ ვადაში მყოფ ნინო გიორგაძეს სამოსამართლო საქმიანობა შეუწყდა, საქართველოს სასამართლოს გუშაგი, 01.11.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://courtwatch.ge/articles/ninogiorgadze-statement/

[79] იქვე.

[80] ნინო გიორგაძის განცხადება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწვეტილებასთან დაკავშირებით, facebook. ელექტრონულად ხელმისაწვდმია: https://bit.ly/3tdynvf

სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შეტანილი ცვილებების შესახებ[81], სადაც იგი აკრიტიკებდა როგორც მოსამართლეთა მიმართ დისციპლინურ საკითხებთან დაკავშირებულ ცვლილებებს, ასევე მისი დაჩქარებული წესით განხილვის ფაქტსა და პროცესის გაუმჭვირვალობას.

შოთა გეწაძე და ალექსანდრე წულაძე

სასამართლო სისტემა, ივნისის თვეში პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე შოთა გეწაძემ[82]. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე გაჟღერდა, რომ იგი მოსამართლის თანამდებობას საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური პროტოკოლის დეპარტამენტში ღონისძიებებისა და ცერემონიების სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე გასამწესებლად ტოვებდა[83]. როგორც “საქართველოს სასამართლოს გუშაგმა” დაადგინა შოთა გეწაძე რეალურად დაინიშნა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის პოზიციაზე შვეიცარიის კონფედერაციაში[84].

2023 წლის მიწურულს სასამართლო სისტემა ასევე დატოვა უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ალექსანდრე წულაძემ[85]. იგი მართლმსაჯულების სისტემიდან განათლების სამინისტროში გადავიდა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის გიორგი ამილახვარის პირველ მოადგილედ დაინიშნა. იგი სამოსამართლეო საქმიანობას 2019 წლიდან ეწევა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის პოზიციაზე უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე იყო განმწესებული.

სხვა საფუძვლით მოსამართლის უფლებამოსილების შეწყვეტა

საპენსიო ასაკის მიღწევის გამო მოსამართლის უფლებამოსილება შეუწყდა თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე

---

[81] ნინო გიორგაძის განცხადება 2021 წლის საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში. 28.12.2021. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/472Kt8a

[82] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულება1/62 შ. გეწაძის თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, 02.06.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/Uploads/2023/6/62-23.pdf

[83] საბჭოს სხდომათა მიმდინარეობა - ივნისი, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 12.07.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3RKcVaw

[84] თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე შოთა გეწაძემ, პირადი განცხადებით, მოსამართლის თანამდებობა დატოვა, საქართველოს სასამართლოს გუშაგი, 09.06.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://courtwatch.ge/articles/shotagetsadze/

[85] განათლების მინისტრის პირველ მოადგილედ ალექსანდრე წულაძე დაინიშნა, პუბლიკა, 29.12.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://publika.ge/ganatlebis-ministris-pirvel-moadgiled-aleqsandre-wuladze-dainishna/

ჯემალ კოპალიანს[86], თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ლიანა ორკოდაშვილს[87], რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ქეთინო ლუაშვილს[88] (გადაწყვეტილება არ არის გამოქვეყნებული) და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე თამარ ჭუნიაშვილს (გადაწყვეტილება არ არის გამოქვეყნებული). ასევე, სამწუხაროდ გარდაიცვალა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე ირინა ზარქუა, რომელიც სამოსამართლო უფლებამოსილებას 1999 წლიდან ახორციელებდა. შესაბამისად საბჭომ მიიღო ფორმალური გადაწყვეტილება მოსამართლის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე (გადაწყვეტილება არ არის გამოქვეყნებული).

მოსამართლეთა გადაადგილება

მოსამართლის დანიშვნა კონკურსის გარეშე

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2022 წლის 12,13 და 27 ოქტომბერს მიღებული იქნა განკარგულება რაიონული (საქალაქო) სასამართლოს და თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლის კონკურსის გარეშე დანიშვნის საკითხის ინიცირების თაობაზე. 2023 წელს საბჭოს ახალი წევრების დამატების შემდგომ აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრა გაიმართა. საბჭომ არცერთ კანდიდატს მხარი არ დაუჭირა, რადგან კანდიდატებთან გასაუბრებას ახალი საბჭოს წევრები არ ესწრებოდნენ[89].

შესაბამისად, 24 მაისს საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 6 მოსამართლეს[90] უარი უთხრა სასურველ თანამდებობაზე განმწესებაზე. ამავე სხდომაზე თავიდან გამოცხადდა მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლის კონკურსის გარეშე დანიშვნისთვის განცხადებების მიღება (დამატებით სხვა პოზიციებზეც). აღნიშნულ პროცედურაზე რეგისტრაციის ვადა რამოდენიმეჯერ გადაიწია და 4 ივლისს საბჭომ გასაუბრება 13 პირთან

[86] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულება ¼ ჯ.კოპალიანის თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, 16.01.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/Uploads/2023/1/4-2023.pdf

[87] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულება 1/53 ლ. ორკოდაშვილის თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, 24.05.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/Uploads/2023/6/53-2023.pdf

[88] საბჭოს სხდომათა მიმდინარეობა - ივლისი, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 04.08.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3GO3G2L

[89] სხდომათა მიმდინარეობის პრობლემურობა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში - მაისი, საქართველოს დამოკრატიული ინიციატივა, 12.06.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3GJcFlT

[90] გიორგი ბუხრაშვილი, მანუჩარ ცაცუა, ციცინო როქვაძე, სერგო მეთოფიშვილი, ეკატერინე მაღარძე, გულიკო კაჟაშვილი. საბჭოს სხდომის მინდინარეობისას გიორგი ლობჟანიძემ ნიკოლოზ მარსაგიშვილთან სატელეფონო საუბრისას თავად განაცხადა უარი მისი კანდიდატურის განხილვაზე, რადგან მისთვის სასურველ პოზიციაზე სხვა პროცედურით გამწესდა.

ჩაატარა[91]. სამწუხაროდ, უნცობია საბჭომ დააკმაყოფილა თუ არა რომელიმე პირის კანდიდატურა, რადგან ერთ-ერთ სხდომას რომელიც ღამის საათებში, თითქმის 4 საათის დაგვიანებით ჩატარდა საბჭოს მონიტორინგის განმახორციელებლი ვერც ერთი ორგანიზაცია ვერ დაესწრო, ხოლო სხდომაზე მიღებული არც ერთი გადაწყვეტილება ამ დრომდე არ გამოქვეყნებულა საბჭოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე. სხვა სხდომებზე აღნიშნული საკითხი არ განხილულა. ამჟამად საბჭოს შემადგენლობაში დანიშნულია კიდევ 3 ახალი არამოსამართლე წევრი, რომელიც კანდიდატებთან გასაუბრებას არ დასწრებია.

კოლეგიათა ცვლილება მოსამართლის მოთხოვნის საფუძველზე

მოსამართლეთა გადაადგილება სასამართლო სისტემაში არ ხდება მხოლოდ საბჭოს ინიციატივით, 2023 წელს ასევე რამოდენიმე მოსამართლემ თავად მოითხოვა გადაყვანა. მაგალითად, თებერვლის თვეში თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამაართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე ლაშა კლდიაშვილმა მოითხოვა სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში გამწესება[92]. ამავე დღეს ნინო თარანიშვილმა მოითხოვა ადმიისტრაციულ საქმეთა კოლეგიიდან ლაშა კლდიაშვილის კოლეგიაში (საგამოძიებო და წინასასამაართლო სხდომის კოლეგიაში) გადაყვანა[93].

მარტის თვეში თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე გიორგი გელაშვილმა მოითხოვა ამავე სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ გამწესება[94]. ხოლო, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლე დავით მგელიაშვილმა საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიაში გადაყვანა, რაც საბჭომ ერთხმად დააკმაყოფილა[95].

---

[91] საბჭოს სხდომათა მიმდინარეობა - ივლისი, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 04.08.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3GO3G2L

[92] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულება 1/30 თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე ლ. კლდიაშვილის სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ გამწესების შესახებ, 14.02.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/Uploads/2023/3/30-2023.pdf

[93] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულება 1/31 თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინსტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ნ. თარანიშვილის საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომების კოლეგიის მოსამართლედ გამწესების შესახებ, 14.02.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/Uploads/2023/3/31-2023.pdf

[94] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 1/44 განკარგულება, თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე გ. გელაშვილის სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ გამწესების შესახებ, 29.03.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/Uploads/2023/3/44.pdf

[95] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 1/45 განკარგულება, თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმეთა კოლეგიის მოსამართლე დ. მეგლიაშვილის საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლედ გამწესების შესახებ, 29.03.2023. ელექტრონულად ხელმისაწდვომია: http://hcoj.gov.ge/Uploads/2023/3/45-2023.pdf

ასევე, სექტემბრის თვეში თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე, ვეფხვია ლომიძე საკუთარი მოთხოვნის საფუძველზე გადაიყვანეს სისხლის სამართლის საქმეთა პალატიდან ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში. ამ გადაწყვეტილებასაც მხარი საბჭოს ყველა წევრმა დაუჭირა (გადაწყვეტილება გამოქვეყნებული არ არის)[96].

დეკემბერში რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ნატა თედეშვილმა მოითხოვა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში გადაყვანა. საბჭოს წევრებმა აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი ერთხმად დაუჭირეს (გადაწყვეტილება გამოქვეყნებული არ არის).

მივლინება

2023 წლის განმავლობაში მხოლოდ 4 მოსამართლე იქნა მივლენილი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე **ზაზა რამიშვილი** მივლენილ იქნა ქვემდგომი ინსტანციის, ხაშურის რაიონულ სასამართლოში[97] 1 თვის ვადით, უვადოდ გამწესებისთანავე. იგი თითქმის 10 წლის განმავლობაში უფლებამოსილებას ხაშურის რაიონულ სასამართლოში ახორციელებდა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გადანიშვნის შემდგომ, ხაშურის რაიონულ სასამართლოში ზაზა რამიშვილის წარმოებაში დასრულების სტადიაზე მყოფ საქმეთა გაჭიანურების თავიდა აცილებისთვის იგი მივლენილ იქნა რაიონულ სასამართლოში, მოსამართლის თანხმობით.

ქეთევან თხელიძე, რომელიც უფლებამოსილებას ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ახორციელებს, მისი თანხმობის საფუძველზე, სისტემატიურად მიავლენენ ცაგერის რაიონულ სასამართლოში მას შემდეგ რაც ცაგერის რაიონულ სასამართლოში მოსამართლე ნანა ჯანხოთელმა საპენსიო ასაკს მიაღწია და 2022 წლიდან უფლებამოსილება შეუწყდა. ქეთევან თხელიძე 1 წლის განვალობაში და ერთი და იგივე სასამართლოში ოთხჯერ იქნა მივლენილი[98].

ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე **როინ კახიძე** მივლენილ იქნა ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში 1 წლის ვადით, მოსამართლის თანხმობით (გადაწყვეტილება არ არის გამოქვეყნებული). მიუხედავად იმისა, რომ როინ კახიძე 2019 წლიდან ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედაა განმწესებული იგი 2021 წლიდან სისტემატიურადაა

[96] რა საკითხები განიხილა იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ სექტემბერში, საქართველოს სასამართლოს გუშაგი, 30.09.023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3GLzKUL

[97] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულება 1/32 ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ზ. რამიშვილის ხაშურის რაიონულ სასამართლოში მივლინების შესახებ, 14.02.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3v4YCEJ

[98] თანხმობის საფუძველზე მივლენილ იქნა 1. 2022 წლის 21 დეკემბრიდან 31 დეკემბრამდე; 2. 2023 წლის 25 იანვრიდან 1 თებერვლამდე; 3. 2023 წლის 27 მარტიდან 1 აპრილამდე; 4. 2023 წლის 15 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

მივლენილი[99] ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში 1 წლის ვადით და 2022 წლიდან მას ასევე დაეკისრა ამავე სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება[100].

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოამართლე **ეკატერინე ბებია** მივლენილ იქნა გალი-გულრიფშის და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის თანხმობით (გადაწყვეტილება არ არის გამოქვეყნებული). როინ კახიძის მსგავსად, ეკატერინე ბებია სასამართლოში არსებული ვაკანტური თანამდებობიდან გამომდინარე ასევე სისტემატიურად 2021 წლიდან არის მივლენილი აღნიშნულ სასამართლოში[101].

მსმენელთა მიღება

2023 წელს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ჩაირიცხა 19 ახალი მსმენელი[102] (იუსტიციის უმაღლეს სკოლაში იუსტიციის მსმენელთა მისაღები კონკურსი გამოცხადდა 30 ერთეულით)[103], თუმცა 2024 წლის ბოლოს სასამართლო სისტემაში მოსამართლეთა ვაკანტური თანამდებობის რაოდენობა გაიზრდება 110-მდე[104].

დამატებითი აქტივობები

საცხოვრებლით და საწვავით უზრუნველყოფა

იუსტიციის უმაღლეს საბჭოში არაერთხელ დადგა საკითხი მოსამართლეთა ბინის ქირისთვის გამოყოფილი თანხის გაზრდასთან დაკავშირებით. საქართველოს სრული მასშტაბით მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა მოსამართლეთა საცხოვრებლით უზრუნველყოფა და საბჭოს არაერთმა მოსამართლემ მიმართა დამატებითი თანხების გამოყოფის თხოვნით[105]. ასევე, აქტიუალურ საკითხს წარმოადგენდა მოსამართლეთა საწვავით უზრუნველყოფა.

---

[99] ამბრონალურის რაიონულ სასამართლოში მივლენილ იქნა 2021 წლის 17 დეკემბრის, 2022 წლის 20 დეკემბრისა და 2023 წლის 22 დეკემბრის განკარგულებების საფუძველზე.

[100] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს N1/81 განკარგულება რ. კახიძის ამბროლაურის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების დაკისრების შესახებ, 05.10.2022. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/Uploads/2022/10/81.pdf

[101] თანხმობის საფუძველზე მივლენილ იქნა 2021 წლის 17 დეკემბრის, 2022 წლის 20 დეკემბრისა და 2023 წლის 22 დეკემბრის განკარგულებების საფუძველზე.

[102] საბჭოს სხდომათა მიმდინარეობა - ოქტომბერი, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 06.11.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Rq9unT

[103] სხდომათა მიმდინარეობის პრობლემურობა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში - მაისი, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 12.06.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3GJcFlT

[104] საბჭოს სხდომათა მიმდინარეობა - ივლისი, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 04.08.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3GO3G2L

[105] საბჭოს სხდომათა მიმდინარეობა - ივნისი, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 12.07.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3RKcVaw

დანამატები

2023 წელს ასევე მიღებული იქნა რამოდენიმე გადაწყვეტილება მართლმსაჯულების სისტემის თანამშრომელთა თანამდებობრივ სარგოსთან დაკავშირებით. მაგალითად, იანვრის თვეში თანამდებობრივ სარგოზე ყოველთვიური დანამატი განისაზღვრა შემდეგი ოდენობით[106]:

1. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე - 4100 ლარი;
2. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე - 4025 ლარი;
3. სააპელაციო სასამართლოს პალატის (კოლეგიის) თავმჯდომარე - 3885 ლარი;
4. სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე - 3745 ლარი;
5. თბილისის / ბათუმის / ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თავმდჯომარე - 4170 ლარი;
6. თბილისის / ბათუმის / ქუთაისის საქალაქო სასამართლოს კოლეგიის თავმჯდომარე - 4170 ლარი;
7. თბილისის / ბათუმის / ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე - 4030 ლარი;
8. სხვა რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარე - 3540 ლარი;
9. სხვა რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე, მაგისტრატი მოსამართლე - 3260 ლარი ;

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის (გარდა უზენაესი სასამართლოსი), მოქმედ ყოველთვიურ დანამატთან ერთად მარტის თვეში დანამატი განესაზღვრა თანამდებობრივი სარგოს 50%-ის ოდენობით[107]. ხოლო, ივლისის თვეში საერთო სასამართლოების მოსამართლეებისთვის თანამდებობრივი სარგოს 70%-იანი დანამატი განისაზღვრა[108]. ნოემბრის თქვეში საბჭომ კიდევ ერთხელ მიიღო გადაწყვეტილება დანამატის სახით თანხის განსაზღვრის შესახებ. ამჯერად პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეებს დანამატის სახით განესაზღვრა თანამდებობრივი სარგოს 30%-ის ოდენობით[109]. დეკემბრის თვეში, რადგან ბიუჯეტი იძლევა აღნიშნულის შესაძლებლობას, საერთო სასამართლოების მოსამართლეებს კვლავ განესაზღვრათ დანამატი თანამდებობრივი სარგოს 100%-ის ოდენობით (გადაწყვეტილება არ არის გამოქვეყნებული) და 10%-ის ოდენობით (გადაწყვეტილება არ არის გამოქვეყნებული).

[106] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულება ⅓ " საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთათვის დანამატის დაწესების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 23 იანვრის N1/6 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, 16.01.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/Uploads/2023/1/3-2023.pdf

[107] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულება 1/42 საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის დანამატის განსაზღვრის შესახებ, 24.03.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/Uploads/2023/3/42-2023.pdf

[108] საბჭოს სხდომათა მიმდინარეობა - ივლისი, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 04.08.2023, ელექტრონულად ხელისაწვდომია:https://bit.ly/3GO3G2L

[109] რა საკითხები განიხილა იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ნოემბერში, საქართველოს სასამართლოს გუშაგი, 04.12.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://courtwatch.ge/articles/high-council-of-justice-october-november/

ასევე, ივლისის თვეში საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება პირველი ინსტანციის სასამართლოთა აპარატის მოხელეთა თანამდებობრივი სარგო გაუთანაბრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს აპარატის თანამშრომლების ანაზღაურებას[110].

ინფრასტრუქტურა

საბჭომ იმსჯელა რამოდენიმე საკითხზე სასამართლოს ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის და სასამართლოს საკუთრების განკარგვასთან დაკავშირებით. მაგალითად, საბჭომ განიხილა ხულოს მაგისტრატი სასამართლოსთვის ფართის დაქირავებაზე, რადგან სასამართლოს შენობა ავარიულია. ასევე რამოდენიმე რეგიონალური სასამართლოს სახურავის/ოთახების რეაბილიტაციასა და საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ბალანსზე არსებული ავტომობილების ჩამოწერაზე[111].

სამუშაო შეხვედრები

იუსტიციის უმაღლესი საბჭო გამოვიდა ინიციატივით საერთაშორისო დონორებისგან დამოუკიდებლად ორგანიზებულიყო სამუშაო შეხვედრები საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის. თებერვლის თვეში საბჭოს წევრებმა სხდომაზე გააჟღერეს აზრი, რომ საერთაშორისო პარტნიორების მიერ მოსამართლეთათვის ორგანიზებულ ტრენინგებში უფრო აქტიური კონტაქტი ჰქონდეს დონორებს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან და იუსტიციის უმაღლეს სკოლასთან. მათ შორის, ისეთ საკითხებზე როგორიცაა თუ ვინ უნდა იყოს ექსპერტი, შემადგენლობა, რომელმა მოსამართლემ უნდა მიიღოს მონაწილეობა[112].

მას შემდეგ, რაც ქართველ მოსამართლეებს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა სანქციები დაუწესა ქართველ მოსამართლეებს (მათ შორის საბჭოს წევრ ლევან მურუსიძეს) და საბჭოს წევრები საქართველოს პრემიერ მინისტრს შეხვდნენ, მაისის თვეში აღნიშნულ საკითხე მსჯელობა უფრო აქტიურ ფაზაში გადავიდა. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მოსამართლეთა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების მიზნით, მოითხოვა 900 000 ლარის დამატებით გამოყოფა[113].

მოსამართლე ლევან მურუსიძემ განაცხადა, რომ მსგავსი სამუშაო შეხვედრები/ერთგვაროვანი პრაქტიკის შემუშავება წარმოადგენს ქართული სასამართლოს რეალურ საჭიროებას. მისი

[110] საბჭოს სხდომათა მიმდინარეობა - ივლისი, საქართველოს დამოუკიდებელი ინიციატივა, 04.08.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3GO3G2L

[111] საბჭოს სხდომათა მიმდინარეობა - ოქტომბერი, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 06.11.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Rq9unT

[112] რა საკითხები განიხილა იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ თებერვალში, საქართველოს სასამართლოს გუშაგი, 14.03.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4am5RIh

[113] სხდომათა მიმდინარეობის პრობლემურობა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში - მაისი, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 12.06.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3GJcFlT

შეფასებით აღნიშნული შეხვედრები არის მართლა აუცილებელი და არა ფასადური, რაც ხდება ხოლმე ზოგიერთი ორგანიზაციის მხრიდან. ნიკოლოზ მარსაგიშვილმა განაცხადა, რომ 5 მაისის სხდომამდე ჩატარდა 2 სამუშაო შეხვედრა, სამოქალაქო, სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ საქმეთა პრობლემურ საკითხებზე (შეხვედრის თარიღები უცნობია). მისი შეფასებით სასურველია მსგავს შეხვედრებს მიეცეს მუდმივი ხასიათი, რათა არ იყვნენ დამოკიდებული მხოლოდ ე.წ. დონორ ორგანიზაციებზე რომლებიც თვითონ ადგენენ დღის წესრიგს და შესაძლებელია შესთავაზონ ისეთი საკითხები, რომელიც სასამართლო პრაქტიკასთან შემხებლობაში არ არის[114].

შემდგომ სხდომაზე სამუშაო შეხვედრათა ორგანიზების მიზნით მოთხოვნილი თანხა 900 000 ლარიდან შემცირდა 400 000 ლარამდე. თანხა შემცირდა, რადგან შეხვედრათა ორგანიზებისთვის საჭირო თანხა დაკორექტირდა უკვე ჩატარებული სამუშაო შეხვედრების ორგანიზებისთვის გაწეული ხარჯის შესაბამისად[115].

ხარჯების ანაზღაურება

საბჭომ ასევე მხარი დაუჭირა 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში განსახორციელებელ ცვლილებებს, რომლის საფუძველზეც საჭირო გახდა გაზრდილი ხარჯების ანაზღაურება. ჯამურად საბჭოს 650 000 ლარის ოდენობის ზრდა დაუფიქსირდა, რაც საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის განცხადებით ძირითადად სათარჯიმნო ხარჯების მნიშვნელოვანმა ზრდამ გამოიწვია[116].

[114] იქვე.

[115] სხდომათა მიმდინარეობის პრობლემურობა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში - მაისი, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 12.06.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3GJcFlT

[116] საბჭოს სხდომათა მიმდინარეობა - ოქტომბერი, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 06.11.2023. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Rq9unT